



საქართველოს ეკონომიკის პერსპექტივა

2011 წლის პირველი ნახევარი

საქართველოს
ეკონომიკის
პერსპექტივა

2011 წლის პირველი ნახევარი

სარჩევი

წინათქმა	6
ანგარიშის მთავარი თემა.....	7
უთანასწორობა და ჯინის კოეფიციენტი.....	7
შესავალი	12
1. ეკონომიკური ზრდა.....	13
1.1 მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ).....	13
1.2. მთლიანი ეროვნული შემოსავალი	16
2. საგარეო ვაჭრობა	17
3. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები.....	19
4. სამომხმარებლო ფასების ინდექსი და უმუშევრობა	21
5. საბანკო სექტორი	26
6. კონსოლიდირებული ბიუჯეტი	28
7. მთავრობის საქმიანობა.....	30
7.1 ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა.....	31
8. დასკვნები და რეკომენდაციები.....	32
9. გამოყენებული ლიტერატურა	33
გრაფიკი 1 მედიანური მოხმარების 60% ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი (2004-2009) (www.geostat.ge).....	8
გრაფიკი 2 მედიანური მოხმარების 40% ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი (2004-2009) (www.geostat.ge).....	8
გრაფიკი 3 მშპ-ს რეალური ზრდა და ცვლილებები უთანაბრობის მაჩვენებლებში (2005-2009) (www.geostat.ge).....	9
გრაფიკი 4 მშპ-ს რეალური ზრდა და სიღარიბის მაჩვენებლები (2007-2010) (www.geostat.ge).....	9
გრაფიკი 5 ჯინის კოეფიციენტები (http://hdr.undp.org).....	10
გრაფიკი 6 მშპ მიმდინარე ფასებში (მილ.ლარი) (2006-2011) www.geostat.ge	13
გრაფიკი 7 მშპ-ს რეალური ზრდა და მშპ-ს დეფლატორი (2005-2011) www.geostat.ge	13
გრაფიკი 8 მშპ ერთ სულზე (მილ.ლარი) www.geostat.ge	14
გრაფიკი 9 მშპ-ს განაწილება ეკონომიკური სექტორების მიხედვით (2011 1-ლი მეოთხედი) (www.geostat.ge)	15
გრაფიკი 10 მთლიანი ეროვნული შემოსავალი (მილ.ლარი) www.geostat.ge	16
გრაფიკი 11 მშპ და მეშ (2005-2011) www.geostat.ge	16
გრაფიკი 12 საგარეო ვაჭრობის ზოგადი მაჩვენებლები (2006-2011) www.geostat.ge	17

გრაფიკი 13 სამომხმარებლო საქონელზე ფასების ცვლილების გავლენა საგაჭრო ბალანსზე (www.imf.org).....	17
გრაფიკი 14 უმსხვილესი პარტნიორები (2011) www.geostat.ge	18
გრაფიკი 15 შემოსავლები ძირითადი ექსპორტიდან (2007-2011) www.geostat.ge	18
გრაფიკი 16 პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (2009-2011) www.geostat.ge	20
გრაფიკი 17 პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკური სექტორების მიხედვით (2007-2010) www.geostat.ge	20
გრაფიკი 18 პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკური სექტორების მიხედვით 2011 წლის 1-ლი კვარტალი www.geostat.ge	20
გრაფიკი 19 საკვების წილი სამომხმარებლო ფასების ინდექსში დსთ-ს ზოგიერთი ქვეყნისთვის www.imf.org	22
გრაფიკი 20 საშუალო ინფლაციის დონე საქართველოში % (2009-2011) www.geostat.ge	23
გრაფიკი 21 უმუშევრობის დონე (%) (1998-2010) www.geostat.ge	24
გრაფიკი 22 ინფლაციისა და უმუშევრობის მაჩვენებლები (2008-2011) www.geostat.ge	25
გრაფიკი 23 დსთ-ს ქვეყნების მაჩვენებლები (www.imf.org).....	25
გრაფიკი 24 სესხები ეკონომიკური სექტორის მიხედვით 06-2011 (www.nbg.ge).....	27
გრაფიკი 25 შემოსავლები გადასახადებიდან (2009-2011) (www.geostat.ge).....	28
გრაფიკი 26 სახელმწიფო ბიუჯეტი (მილ.ლარი) (2009-2011) www.geostat.ge	29
გრაფიკი 27 ხარჯების მიმართულებები (2009-2011) www.geostat.ge	29
გრაფიკი 28 ვალები (მილ.ლარი) www.geostat.ge	30

წინათქმა

წინამდებარე ანგარიშში 2011 წლის პირველი ნახევრის საქართველოს ეკონომიკის მდგომარეობაა განხილული. ანგარიში სპეციალური ნაწილით – „ანგარიშის მთავარი თემა“ – იწყება და ფოკუსირებულია კონკრეტულ თემაზე „უთანასწორობა და ჯინის კოეფიციენტი“, რომელიც ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრებისთვის მისი მნიშვნელობის გამო შეირჩა. ანგარიშში, ასევე, გაანალიზებულია ეკონომიკის ისეთი მნიშვნელოვანი ასპექტები, როგორებიცაა: მთლიანი შიდა პროდუქტი, მთლიანი ეროვნული შემოსავალი, სამომხმარებლო ფასების ინდექსი, ინფლაცია და უმუშევრობა, საგარეო ვაჭრობა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ქვეყნის ბიუჯეტი და ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის განხორციელება, ქვეყნის საბანკო სექტორი და ასევე, საქართველოს ეკონომიკა მსოფლიო ეკონომიკის პერსპექტივიდან. ანგარიში მთავრდება დასკვნებითა და რეკომენდაციებით ზოგიერთ გამოვლენილ გამოწვევასთან დაკავშირებით.

ამ ანგარიშისთვის გამოყენებული იქნა მეორადი მონაცემები, რომლებიც მოვიპოვეთ ინტერნეტ-რესურსებიდან, მათ შორის, საქართველოს შემდეგი სამთავრობო უწყებების ვებ-გვერდებიდან: სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ეროვნული ბანკი, ფინანსთა სამინისტრო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. გარდა ამისა, ანგარიშში გამოყენებულია მონაცემები, რომლებიც ისეთმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა მოგვანოდა, როგორებიცაა საერთაშორისო სავალუტო ფონდი და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი.

თუმცა, აქვე ამ კვლევის გარკვეული შეზღუდვები უნდა აღინიშნოს. ჯერ ერთი, ავტორებს ანგარიშის მომზადება მწირი ბოლოდროინდელი ინფორმაციის პირობებში მოუხდათ, ვინაიდან ხელმისაწვდომი მონაცემები ძირითადად მიმდინარე წლის პირველ კვარტალს ასახავს. ხოლო დანარჩენი მონაცემები ექსპერტების პროგნოზებია. ამავე დროს, 2010 და 2011 წლის მონაცემების უდიდესი ნაწილი წინასწარი მონაცემებია და შეიძლება შეიცვალოს.

ანბარიშის მთავარი თემა

უთანასწორობა და ჯინის კოეფიციენტი

საქართველოს ეკონომიკის მდგომარეობისა და მისი მომავალი ზრდის პერსპექტივის შესახებ მიმდინარე დისკუსიაში ხელისუფლება აქცენტს ხშირად ისეთ ცნებაზე აკეთებს, როგორცაა შემოსავალი – ეროვნულიცა და ერთ სულ მოსახლეზეც. ამ დროს ყურადღების მიღმა რჩება სხვა მნიშვნელოვანი ინდიკატორები, მაგალითად ეკონომიკური უთანასწორობის ინდიკატორი. ეს ინდიკატორი ქვეყანაში ცხოვრების სტანდარტისა და სიღარიბის დონის რეალისტური შეფასებისთვის უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია. სწორედ მთელ ქვეყანაში შემოსავლის ზრდის უთანასწორობა წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას საქართველოში ცხოვრების სტანდარტის გაუმჯობესებისათვის და ამიტომ, გაძლიერებულ ყურადღებას საჭიროებს როგორც ექსპერტების, ასევე შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუტების მხრიდან.

შემოსავლის უთანასწორობის ზრდა, რასაკვირველია, არც რაიმე ახალი და არც მხოლოდ საქართველოსთვის დამახასიათებელი ფენომენია – 1970-იანი წლების შემდეგ, ეს საბაზრო ეკონომიკებისთვის ჩვეული ტენდენციაა. ერთი მოსაზრების მიხედვით, უთანასწორობა თავისუფალი ბაზრის სისტემის თვისებაა და ადამიანის მიერ მიღებული ანაზღაურება მისი შესაძლებლობების, მის მიერ განეული რისკისა და შრომის ადექვატურია. მარტივად თუ ვიტყვით, რაც უფრო მეტს მუშაობს ადამიანი, მით მეტი ანაზღაურება აქვს, ვინაიდან მოქალაქეები შემოსავალს საკუთარი შრომის გაყიდვით ღებულობენ. თუმცა, ამ სისტემის ხარვეზი ის არის, რომ ზოგ ადამიანს, ვინც წარმატებას აღწევს, დიდი თანხა აქვს, ხოლო სხვებს, რომლებიც წარუმატებლები არიან, პირველადი მოხმარების პროდუქტის ყიდვაც არ შეუძლია (McDowell, Thom, Frank & Bernanke, 2006). ასეთ შემთხვევაში, სახეზე გვაქვს საზოგადოება, რომელიც ერთი ჯგუფის მიერ მეორე ჯგუფის ექსპლოატაციას, ანდა რესურსების არათანაბარ ხელმისაწვდომობას ემყარება. ეს, თავის მხრივ, აღვივებს სოციალურ უკმაყოფილებას, ამცირებს ნდობის ხარისხს და სამოქალაქო ჩართულობას და იწვევს დანაშაულის ზრდას. მეტიც, ეკონომიკური ლიტერატურის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი ადასტურებს ნეგატიურ კავშირს უთანასწორობასა და ჰუმანურ განვითარებას შორის (<http://hdr.undp.org>), ასევე, უთანასწორობასა და სოციალურ ერთობას შორის (Putnam, 2000). მეორეს მხრივ, საბაზისო ეკონომიკური გამოცდილება გვკარნახობს, რომ თანასწორობის ინდიკატორის გათანაბრება, შესაძლოა, პირდაპირ უკავშირდებოდეს ჯანმრთელობისა და განათლების საერთო შედეგების გაუმჯობესებას და ასევე, ეკონომიკურ ზრდას. ამიტომ, შემოსავლის უთანასწორობის მაღალი მაჩვენებელი შემამოფოთებელია.

ამ მიმართულებით საქართველოს ოფიციალური სტატისტიკის სამსახური ორ ინდიკატორს იყენებს – 60/-40%-ზე ნაკლები მედიანური მოხმარების მოსახლეობის წილი და სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრები მოსახლეობის პროცენტული რაოდენობა. ოფიციალური სტატისტიკა არ იყენებს ჯინის კოეფიციენტს, რომელიც შემოსავლის უთანასწორობის გამოთვლის ყველაზე ფართოდ


გამოყენებული მეთოდია. ამ შემთხვევაში ჩვენ იმ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მონო-
დებულ ინფორმაციას გამოვიყენებთ, რომლებიც ასეთ კვლევებს სხვადასხვა ქვეყანაში ატარებენ.

თუმცა, ჯერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მონოდებული ინფორმა-
ციის განხილვით დავიწყებთ. 2009 წლის საბოლოო მონაცემების თანახმად, საქართველოს მოსა-
ხლეობის 21%-ის მედიანური მოხმარება 60%-ზე ნაკლებია, ხოლო 8.8%-ის მედიანური მოხმარება
– 40%-ზე ნაკლები (გრაფიკი 1 და 2). თუ 2004 წლიდან 2009 წლამდე პერიოდის ამ მონაცემებს
დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ 2007 წლამდე მონაცემები უმნიშვნელოდ მცირდებოდა, 2008 წელს
მოიმატა, ხოლო 2009-ში ისევ შემცირდა. იდენტური ტენდენცია შეინიშნება სოფლისა და ქალაქის
მონაცემებში, ოღონდ სოფლის მაჩვენებლები ოდნავ აღემატება ქალაქის მაჩვენებლებს.


ჩვენი ვარაუდით, უთანასწორობის ინდიკატორების ზრდა შეიძლება ქვეყნის მთლიანი შიდა პრო-
დუქტის (მშპ) ზრდის ტემპებს უკავშირდებოდეს, რომელიც 2008 წელს რუსეთ-საქართველოს
ომისა და გლობალური ეკონომიკური კრიზისის შედეგად მკვეთრად შემცირდა. ჩვენი ვარაუ-
დის გასამყარებლად, ვნახოთ ქვემოთ გრაფიკი 3, რომელშიც ჩანს, რომ მშპ-ის ზრდის ტემპის
მკვეთრმა დაცემამ (2.3%) 2008 წელს 60/40%-ზე ნაკლები მედიანური მოხმარების მოსახლეობის
წილის ზრდა გამოიწვია (დადებითი ცვლილება). თუმცა, რეალური მშპ-ის ზრდის კიდევ უფრო
მეტად დაცემამ, ანუ ზრდის უარყოფითი, -3.8%-იანი ტემპის მიუხედავად, 60/40%-ზე ნაკლები
მედიანური მოხმარების მოსახლეობის წილი შემცირდა (უარყოფითი ცვლილება). ამ უკანასკნე-
ლის ახსნა ძნელია. საერთოდ, უთანასწორობა მხოლოდ რეალური მშპ-ის ზრდაზე არ არის და-
მოკიდებული, არამედ სხვა ისეთ ფაქტორებზეც, როგორებიცაა შრომის ბაზრები, განვითარების
ტენდენციები, სიმდიდრის დაგროვება და სხვა.

2010 წლის მონაცემების მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის 9.7% სიღარიბის ზღვარს ქვე-
მოთ ცხოვრობს. აქაც ჩანს ნეგატიური კორელაცია რეალური მშპ-ის ზრდასა და სიღარიბის
დონეებს შორის (გრაფიკი 4). რეალური მშპ-ის ზრდა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრები
მოსახლეობის წილის კლებას იწვევს და პირიქით. თუმცა, კიდევ გავიმეორებ, მშპ-ი არ არის ერის

გრაფიკი 1
მედიანური მოხმარების 60% ქვევით მყოფი
მოსახლეობის წილი (2004-2009) (www.geostat.ge)



გრაფიკი 2
მედიანური მოხმარების 40% ქვევით მყოფი
მოსახლეობის წილი (2004-2009) (www.geostat.ge)




კეთილდღეობის ერთადერთი განმსაზღვრელი ფაქტორი და შემოსავლის განაწილების თანასწორობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყველაზე გავრცელებული და ადვილად გასაგები საზომი ეგრეთ წოდებული ჯინის კოეფიციენტი (იტალიელი სტატისტიკოსის კორადო ჯინის სახელობის ინდიკატორი). ამ კოეფიციენტს საქართველოს სტატისტიკური სამსახური არ იყენებს. ჯინის კოეფიციენტი მათემატიკური კონცეფციაა, რომლითაც უთანასწორობა 0-დან 1-მდე იზომება და ხშირად პროცენტის სახით, 0-დან 100 პროცენტამდე, გამოიხატება. ჯინის დაბალი კოეფიციენტი განაწილების მაღალ თანასწორობაზე მიუთითებს. 0-ის ტოლი ჯინის კოეფიციენტი სრულ თანასწორობას ნიშნავს და პირიქით, მაღალი ჯინის კოეფიციენტი განაწილებაში უთანასწორობის მაჩვენებელია. 1-ის ტოლი ჯინის კოეფიციენტი სრულ უთანასწორობას ნიშნავს. სხვაგვარად თუ ვიტყვით, ყველაზე უთანასწოროა ის საზოგადოება, რომლის მხოლოდ ერთი წევრი მთელი შემოსავლის 100%-ს, ხოლო დანარჩენი არაფერს ღებულობს (1-ის ტოლი ჯინის კოეფიციენტი); და ყველაზე თანასწორია ის საზოგადოება, რომლის ყველა წევრი თანაბარ შემოსავალს ღებულობს (0-ის ტოლი ჯინის კოეფიციენტი). რეალურად, ინდიკატორი ყოველთვის 0-სა და 1-ს შორისაა, ვინაიდან სრული თანასწორობა/უთანასწორობა ჰიპოთეტური მოცემულობებია (McDowell et al., 2006).

სად დგას საქართველო? ზოგადად, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში, რომელთა თავდაპირველი უთანასწორობის მაჩვენებელი შედარებით დაბალი იყო, შემოსავლის თანასწორობის დაღმავალი ტენდენცია შეინიშნება. ამის მიზეზი სახელმწიფო დასაქმების, გარანტირებული დასაქმების და სხვადასხვა სოციალური დახმარებების გაუქმება იყო, რომლებიც საბჭოთა პერიოდში იყო უზრუნველყოფილი. ამჟამად, საქართველოს ჯინის კოეფიციენტი 40.8-ს (პროცენტს) უდრის. სურათის უკეთ დასანახად, ეს მონაცემი სხვა ქვეყნებისას შევადაროთ: სკანდინავიის ქვეყნებში ეს ინდიკატორი 25-ია, აფრიკის კონტინენტს შედარებით მაღალი ინდიკატორი აქვს (დაახლოე-


ბრაზიკი 3

მშპ-ს რეალური ზრდა და ცვლილებები უთანაბრობის მაჩვენებლებში (2005—2009) (www.geostat.ge)



ბრაზიკი 4

მშპ-ს რეალური ზრდა და სიღარიბის მაჩვენებლები (2007-2010) (www.geostat.ge)




ბით 70). თვით რეგიონშიც კი, რომელშიც პოსტ-საბჭოთა ქვეყნების ინდიკატორები შედარებით მაღალია, საქართველოს კოეფიციენტი მაინც ზოგიერთი მისი მეზობლისას აჭარბებს: სომხეთის ჯინის კოეფიციენტი 30.2-ს შეადგენს, ხოლო აზერბაიჯანისა – 16.8-ს. ამავე დრო, საქართველოს ჯინის კოეფიციენტი რუსეთის (43.7) და თურქეთის (41.2) კოეფიციენტებზე ნაკლებია (<http://hdr.undp.org>). საქართველოს ინდიკატორი ლათინური ქვეყნების ინდიკატორების მსგავსია (ვენესუელა 43.4, ურუგვაი 47.1, კოლუმბია 58.5), რომელთა დამახასიათებელი ნიშანი საშუალო კლასის არასებობა ანდა მცირერიცხოვანი საშუალო კლასია (გრაფიკი 5).

მოკლედ, საქართველოს ჯინის კოეფიციენტი გაცილებით მაღალია ყველაზე მონინავე ეკონომიკების, განსაკუთრებით ევროპული ეკონომიკების შესაბამის კოეფიციენტებზე, რაც ქვეყანაში სერიოზული სოციალური და ეკონომიკური პრობლემის არსებობაზე მეტყველებს. მიუხედავად არსებული ერთი შეხედულებისა, რომ უთანასწორობის მაღალმა დონემ, შეიძლება ხალხს მეტი მუშაობის სტიმული გაუჩინოს და ხელი შეუწყოს სამენარმეო საქმიანობის განვითარებას. მდიდარი საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, რომ შემოსავლის უთანასწორობის მაღალი დონის საფასური ბევრად აღემატება იმ სიკეთეს, რომელიც შეიძლება მან ქვეყანას მოუტანოს. ამის ილუსტრირებას, მსოფლიო ბანკის მიერ მონოღებული ინფორმაციის საფუძველზე, ქვემოთ შემოთავაზებთ (www.worldbank.org).

ჯერ ერთი, უთანასწორობის მაღალმა დონემ შეიძლება სოციალური ერთობისა და სამოქალაქო ჩართულობის შემცირება გამოიწვიოს, რაც დროთა განმავლობაში, პოლიტიკურ არასტაბილურობაში გადაიზრდება. უამრავმა კვლევამ დააასტურა პირდაპირი კავშირი უთანასწორობის დონესა და სოციალური ერთობის ისეთ მნიშვნელოვან ინდიკატორებს შორის, როგორებიც არის დანაშაული (განსაკუთრებით, მკვლევლობები), ფსიქიკური აშლილობა და არასრულწლოვანთა ფეხმძიმობა, როგორც ერთი ქვეყნის ასევე ქვეყნების მასშტაბით (Wilkinson and Pickett, 2009). სერიოზული უთანასწორობა ზღუდავს მთავრობის შესაძლებლობასაც, გამოიყენოს მნიშვნელოვანი საბაზრო მექანიზმები, როგორც არის საჯარო მომსახურების ფასების ან ჯარიმების ცვლილება, ვინაიდან ამან უთანასწორობა შეიძლება კიდევ უფრო გააღრმავოს, რადგან ლარიბი მოსახლეობის მეტ გაღრმავებას

გრაფიკი 5
ჯინის კოეფიციენტები (<http://hdr.undp.org>)



გამოიწვევს. გარდა ამისა, ბოლოდროინდელმა კვლევამ, რომელმაც მსოფლიოს 35 დემოკრატიული ქვეყანა მოიცვა, ძლიერი კავშირი დაადგინა უთანასწორობის დონეებსა და ტოლერანტობას შორის (Andersen and Fetner, 2008).

მიუხედავად იმისა, რომ წარმატებული საბაზრო ეკონომიკა ვერ იფუნქციონირებს და ვერ განვითარდება იმ სტიმულების გარეშე, რომლებიც შემოსავლის გარკვეულ უთანასწორობას გულისხმობს (McDowell et al., 2006), ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეკონომიკის განვითარებას პრობლემას შემოსავლის უთანასწორობის მაღალი დონეც უქმნის. მიგვაჩნია, რომ შემოსავლის უთანასწორობის პრობლემას სათანადო ყურადღებით უნდა მოექციდონ. სამთავრობო უწყებებმა სიფრთხილით უნდა შეაფასონ ეს საკითხი და გადაწყვიტონ, არის თუ არა შემოსავლის განაწილება ოპტიმალურზე ნაკლები. თუ ასეა, უთანასწორობის საკითხის გასაუმჯობესებლად სპეციალური პოლიტიკა უნდა განხორციელდეს. ამ პრობლემის მოგვარების ორი ძირითადი მიდგომა არსებობს – იმ ფაქტორების შეცვლა, რომლებიც არსებულ განაწილებას იწვევს, ანდა არსებული შედეგების კომპენსირება (McDowell et al., 2006). საქართველოში, ძირითადად ამ პრობლემის მოგვარების მეორე მიდგომას იყენებენ და მთავრობა გაჭირვებულ ოჯახებს თანხებს ან პირდაპირ უხდის, ანდა შეღავათებს ნატურალური ფორმით აძლევს (თანხის გადახდა „უფასო“ საქონლისა და მომსახურების მიწოდების ფორმით). ეს ძალზე არაეფექტიანი გზაა – თანხები ძალიან მცირეა და ვერაფერს დაატყობს ამ ოჯახების მდგომარეობას. ისეთი პოლიტიკის გატარების მცდელობა, რომელიც მიმართული იქნებოდა უთანასწორობის გამომწვევი ფაქტორების შეცვლისკენ, არც კი ყოფილა. მთავრობები, მთელ მსოფლიოში, მზარდი უთანასწორობის შესამცირებლად სხვადასხვა ინიციატივით გამოდიან. მაგალითად, საყოველთაოდ ცნობილია, რომ ღარიბი ოჯახების ბავშვებისთვის მნიშვნელოვან სიძნელებთან არის დაკავშირებული ხარისხიანი განათლების მიღება. შედეგად, მათ ნაკლებშემოსავლიანი დასაქმების შესაძლებლობები აქვთ, ვიდრე ბავშვებს მდიდარი ოჯახებიდან. ხარისხიანი განათლების მიღების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორი სწავლების საფასურია, რაც სამიზნეს წარმოადგენს პოლიტიკის შემუშავებლებისთვის, რომლებიც მზარდი სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობის წყაროს აღმოფხვრას ისახევენ მიზნად.

სხვა ეკონომიკური სტრატეგია, რომლის გამოყენებაც შეიძლება უთანასწორობის შესამცირებლად, პროგრესული დაბეგვრაა – ღარიბებთან შედარებით მდიდრების პროპორციულად მეტად დაბეგვრა, რათა საზოგადოებაში არსებული შემოსავლის უთანასწორობა შემცირდეს; და მინიმალური ხელფასის დანესება ყველაზე ღარიბი მშრომელების შემოსავლის გასაზრდელად. რა პოლიტიკური ვარიანტების კომბინაციაც არ უნდა აირჩიოს მთავრობამ, მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს, რომ მიზეზთან ბრძოლა ყოველთვის უფრო ეფექტიანია, ვიდრე სხვადასხვა სუბსიდიების გზით შედეგების შემსუბუქება. ამრიგად, მთავარი პოლიტიკის განსაზღვრაა და ასევე, ინსტიტუტების ამოქმედება, რათა მოიძებნოს ბალანსი შემოსავლის თანაბრად განაწილების საჭიროებასა და ეკონომიკის სტიმულირების საჭიროებას შორის კონკურენტული გარემოს შენარჩუნების გზით.

შესავალი

2008 წელს საქართველოს ეკონომიკამ ორი სერიოზული დარტყმა მიიღო: რუსეთ-საქართველოს ომი და გლობალური ეკონომიკური კრიზისი. ამ ორმა ფაქტორმა ნეგატიურად იმოქმედა ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებაზე, რაც ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მამოძრავებელი ძალა იყო. ამავე დროს, პოლიტიკური არასტაბილურობისა და არაპროგნოზირებადობის გამო, ბანკებიდან დიდი ოდენობით ანაზრების გადინება მოხდა და ბანკები გაკოტრების საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ. 2008-2010 წლებში, საქართველომ დაახლოებით 4.5 მილიარდი აშშ დოლარის საერთაშორისო დახმარება მიიღო კრედიტებისა და გრანტების სახით; ამ თანხის ნაწილი უკვე გადმოირიცხა, დარჩენილ ნაწილს კი ქვეყანა ახლა მიიღებს. ეს დახმარება მიმართული იყო მოსალოდნელი საბიუჯეტო დისბალანსის დაფარვისა და საფინანსო სისტემისადმი ნდობის გამყარებისკენ, ასევე, სხვა ისეთი მნიშვნელოვანი სფეროებისკენ, როგორებიცაა იძულებით გადაადგილებული პირების განსახლება, ტრანსპორტი, ენერჯეტიკა, სამოქალაქო და მუნიციპალური ტრანსპორტი, გარემოს დაცვა და სოფლის მეურნეობა.

როდესაც სხვადასხვა დონორის იმ დახმარებამ, რომელიც საქართველოს კრიზისის წლებში მიეცა, შემცირება დაიწყო, საქართველოს მთავრობა შეუდგა რიგი რეფორმების გატარებას, რათა ეკონომიკას რეცესიიდან გამოსვლაში დახმარებოდა. ამ რეფორმებმა სასურველი შედეგი რამდენიმე უმნიშვნელოვანეს სფეროში მოიტანა, მაგალითად, ხელსაყრელი ბიზნესგარემოს შექმნისა და კორუფციის აღმოფხვრის თვალსაზრისით. ბიზნესის კეთების სიადვილის მაჩვენებლით საქართველო რეგიონის ლიდერია. ამავე დროს, საგადასახადო სისტემის გამარტივება და კორუფციასთან ბრძოლა საერთაშორისო გამჭვირვალობის კორუფციის ინდექსში აისახა, რომლის მიხედვითაც საქართველო დსთ-ს ქვეყნებზე წინ არის (www.ebrd.com). თუმცა, ეკონომიკაში რამდენიმე ტენდენცია შეიმჩნევა, რომლებიც ზრდას და განვითარებას აფერხებს, მაგალითად, უმუშევრობის და ინფლაციის მაღალი მაჩვენებლები, ასევე უარყოფითი სავაჭრო ბალანსი და მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სექტორების წელიწადური ზრდა. გარდა ამისა, საქართველო ისევ დიდწილად არის დამოკიდებული საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების დახმარებასა და უცხოეთში დასაქმებული საქართველოს მოქალაქეების ფულად გზავნილებზე.

მოკლედ, როგორც მსოფლიო, ასევე საქართველოს ეკონომიკა ცდილობს, დაძლიოს ყველაზე დიდი ეკონომიკური ვარდნა, რაც კი 1930 წლის შემდეგ მომხდარა (www.europeanbusinessreview.com), და კრიზისისწინა ეკონომიკური ზრდის დონეს მაინც მიაღწიოს. ახლო მომავლის პროგნოზი ოპტიმისტურია, თანმიმდევრული და სტაბილური განვითარებით. გარდამავალი ეკონომიკების უმეტესობამ უკვე მიაღწია კრიზისისწინა პროდუქციის დონეებს. საერთაშორისო სავალუტო ფონდის თანახმად, 2011 და 2012 წლებში გარდამავალი და განვითარებადი ქვეყნების მოსალოდნელი ზრდა 6.5% იქნება. ამ ქვეყნებისთვის მთავარ პრობლემებს უმუშევრობა და ინფლაცია წარმოადგენს (www.imf.org).

1. ეკონომიკური ზრდა


ქვეყნის ეკონომიკაზე გავლენას მთელი რიგი ფაქტორები ახდენს. საყოველთაოდ არის მიჩნეული, რომ პროდუქტიულობის, და შესაბამისად, პროდუქციის ზრდა ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორია, რაც დასაქმების და/ან მოსახლეობის ზრდას მოაქვს. ასევე, წარმოების ზრდა ნასწავლ და ჯანმრთელ მუშახელს მოაქვს. ამავე დროს, ბიზნესის კეთების სიადვილე ხელს უწყობს მცირე და საშუალო სანარმოების და მენარმოების განვითარებას, ხოლო ხელსაყრელი საინვესტიციო გარემო ქვეყნის ეკონომიკის ზრდის დაჩქარებაში მთავარ როლს თამაშობს.

1.1 მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ)


რეალური მშპ, ანუ, ქვეყნის ეკონომიკური პროდუქციის ღირებულება შესწორებულ ფასებში ცვლილებების მიხედვით, 2011 წლის პირველ კვარტალში 5,151.8 მილიონ ლარს შეადგენდა, რაც 20%-ით აღემატება წინა წლის შესაბამისი კვარტლის მაჩვენებელს. რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი მიმდინარე წლის პირველი კვარტალში 5.8%-ით გაიზარდა. როგორც მოცემული გრაფიკებიდან ჩანს (გრაფიკები 6 და 7), მშპ-ის ზრდის მაჩვენებელი ნელ-ნელა იზრდება წინა წლების კრიზისის შემდეგ და კრიზისისწინა წლიურ მაჩვენებელს აღემატება. ზრდის მაჩვენებელი 2007 წლის 12,3%-იან დონეს ჯერ კიდევ ჩამოუვარდება.

მნიშვნელოვანი ზრდა აღინიშნა საფინანსო შუამავლობის (24.0%), ელექტროენერჯის, ბუნებრივი გაზისა და ნყალმომარაგების (12.4%), უძრავი ქონების, იჯარის და ბიზნეს საქმიანობის (9.5%), ტრანსპორტის (9.1%), მრეწველობის (8.6%), სასტუმროებისა და რესტორნების მომსახურების (8.6%) და კომუნიკაციის (7.6%) სექტორებში (www.geostat.ge).

გრაფიკი 6
მშპ მიმდინარე ფასებში (მილ.ლარი) (2006-2011)
www.geostat.ge



გრაფიკი 7
მშპ-ს რეალური ზრდა და მშპ-ს დეფლატორი (2005-2011) www.geostat.ge




ზომიერი რეალური ზრდა აღინიშნა განათლების (3.8%), ვაჭრობის (2.5%), სახელმწიფო მმართველობის (1.9%), სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, თევზჭერის (1.7%) სექტორებში. კლება გასულ წელსა და 2011 წლის პირველ კვარტალში ისეთ სფეროებში აღინიშნა, როგორებიცაა მშენებლობა და შინამეურნეობათა პროდუქცია. ბოლო დროს ზრდა შეინიშნება მშენებლობაში, საბანკო სექტორსა და სამთომპოვებით მრეწველობაში, თუმცა თანხების სიმწირისა და გარე ინვესტიციების მოზიდვაში სიძნელების გამო, ამ სფეროებში ეკონომიკური ზრდის შენელების რისკი არსებობს.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ დეფლაციური გასული წლის პირველი კვარტლის 4.1%-დან 13.4%-მდე გაიზარდა, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია 2005 წლის შემდეგ და ქვეყანაში არსებულ ინფლაციას ასახავს (გრაფიკი 7). აღსანიშნავია, რომ 2009 წელს დეფლაციური უარყოფითი, ანუ, დეფლაცია იყო, რაც კრიზისით იყო გამოწვეული, რის შედეგადაც საქონელზე მოთხოვნამ იკლო.

საკმაოდ საინტერესოა, რომ კრიზისისწინა პერიოდში მშპ-ის ზრდამ მშპ-ის დეფლაციურის ზრდას გაუსწრო, ახლა კი პირიქით არის. მშპ-ის ზრდის ტემპი ნელ-ნელ მატულობს, თუმცა ჯერ კრიზისისწინა 10%-იანი დონისთვის არ მიუღწევია.


რეალური მშპ-ის ზრდასთან ერთად ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის ზრდის ტემპმაც, ანუ ქვეყნის ცხოვრების სტანდარტის განმსაზღვრელმა მაჩვენებელმა, იმატა და 2011 წლის პირველ კვარტალში 1,152.7 მილიონი ლარი შეადგინა (გრაფიკი 8), რაც გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით 19%-იანი ზრდაა; თუმცა, 2010 წლის მეოთხე კვარტლის მაჩვენებელთან შედარებით – კლებაა, რაც ალბათ, გამოწვეულია იმით, რომ წლის დასაწყისში ქვეყნის ეკონომიკა ნელა იზრდება, რასაც სოფლის მეურნეობაში სეზონურობის ფაქტორი ემატება. მეტიც, ერთ სულ მოსახლეზე მშპ, შესაძლოა, შინამეურნეობის ცხოვრების რეალური სტანდარტის გასაზომად რეპრეზენტატიული ციფრი არც კი იყოს შემოსავლის განაწილების უთანასწორობის გამო. საქართველოს ჯინის კოეფიციენტი, რომლითაც შემოსავლის განაწილების უთანასწორობა იზომება, საკმაოდ მაღალია და 40.8-ს შეადგენს (0 ნიშნავს სრულ თანასწორობას, 100 კი სრულ უთანასწორობას) (www.cia.org).

გრაფიკი 8
მშპ ერთ სულზე (მილ.ლარი)
www.geostat.ge



გრაფიკი 9

მშპ-ს განაწილება ეკონომიკური სექტორების მიხედვით (2011 1-ლი მეოთხედი) (www.geostat.ge)



მშპ-ის ზრდა 2011 წლის პირველ ნახევარში, სავარაუდოდ, „საბოლოო მოხმარებისა“ და „ექსპორტის“ სფეროებში ზრდის შედეგია. თუმცა, მიგვაჩნია, რომ ეკონომიკური ზრდა ძირითადად „მოხმარების“ სფეროში ზრდას მოაქვს, ვიდრე ინვესტიციებისა და ექსპორტის ზრდას. ამ მოსაზრებას წინამდებარე ანგარიშის საგარეო ვაჭრობის ნაწილში გავამყარებთ, სადაც იმპორტის ქვეყნის ექსპორტზე წინმსწრები ზრდა არის განხილული. მშპ-ის ზრდის პროგნოზი 2010 წლის ზრდის ტემპზე ნაკლებია მკაცრი მონეტარული პოლიტიკის და დასაქმების ნელი ზრდის გამო (www.nbg.ge). მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება შეამცირებს „მოხმარების“ სექტორს, ხოლო დასაქმების დონის ნელი მატება „პროდუქციის“ სფეროს შემცირებას ანდა მის ნელ მატებას გამოიწვევს. ამავე დროს, მშპ-ის ამჟამინდელი ზრდა, რომელიც ახლა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მოხმარებასა და სამთავრობო ხარჯებზე, შესაძლოა ეროვნული ვალის ზრდით იყოს გამოწვეული, რასაც საქართველოში ეკონომიკური კრიზისის დროს ჰქონდა ადგილი.

აღსანიშნავია, რომ მშპ-ის უდიდესი წილი თბილისზე მოდის, ხოლო რეგიონების როლი ეკონომიკური ზრდის პროცესში მცირდება. თბილისთან შედარებით, დასაქმების ნაკლები შესაძლებლობების გამო, რეგიონებიდან, განსაკუთრებით, მაღალმთიანი რეგიონებიდან მოსახლეობის მასობრივი მიგრაცია შეინიშნება.

რაც შეეხება ქვეყნის მშპ-ის ძირითად ელემენტებს, გრაფიკიდან (გრაფიკი 9) ვხედავთ, რომ საქართველოს მშპ-ის უდიდესი წილი მრეწველობაზე მოდის (18.8%), რომელსაც ვაჭრობა (17.1%), ტრანსპორტი და კომუნიკაციები (12.1%) მოყვება. ლითონის შენადნობების და ჯართის ექსპორტი მთელი ექსპორტის დიდი ნაწილს შეადგენს და შესაბამისად, ქვეყნის მშპ-ის ზრდის ერთ-ერთი უმთავრესი ელემენტია.

საინტერესოა, რომ სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში მცირდება, თუმცა ისტორიულად, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება (ყურძენი, ხილი და თხილი) საქართველოს ეკონომიკის წამყვანი დარგი იყო (www.cia.org). ამავე დროს, ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, სამუშაო ძალის 50% სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული. თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ სოფლის მეურნეობაში უკიდურე-


სად დაბალ პროდუქტიულობასთან გვაქვს საქმე. ეს ფაქტი იმ ქვეყნის ეკონომიკას, სადაც სოფლის მეურნეობა ნაყოფიერი მიწებისა და გამოცდილი სამუშაო ძალის გამო ისტორიულად მთავარ ფარდობით უპირატესობად ითვლებოდა, დიდ საფრთხეს უქადის. არსებული ტენდენცია კი დამუშავებული მიწებისა და პროდუქტიულობის სწრაფ კლებას აჩვენებს. ძირითადი ვარაუდი, რაც შეიძლება აქედან გაკეთდეს, არის ის, რომ ამ სექტორში ინვესტიციების და რესურსების ნაკლებობაა, შესაბამისად, სექტორში არსებული კაპიტალი ძალიან მცირეა.

გარდა ამისა, ირიგაციისა და დრენაჟის სისტემები სოფლის მეურნეობის განვითარების კიდევ ერთ შემაფერხებელ ფაქტორად არის მიჩნეული. თუ ეს პრობლემა უახლოეს მომავალში არ გადაიჭრა, ქვეყანა სურსათის წარმოებაში თავის ფარდობით უპირატესობას დაკარგავს. როგორც ამ ანგარიშის მომდევნო ნაწილებში ვნახავთ, საქართველო მნიშვნელოვნად ხდება დამოკიდებული იმპორტირებულ სურსათზე, რაც საკმაოდ საგანგაშო ნიშანია, ვინაიდან საკვები პროდუქტების უმეტესობის წარმოება, რომლებიც უფრო მაღალი ხარისხის და უფრო იაფი იქნება, ადგილობრივად არის შესაძლებელი. სოფლის მეურნეობის წარმოების სწორი ორგანიზების შემთხვევაში, ქვეყანა შეძლებს ვალუტის დიდი რეზერვების დაზოგვას, რომლებიც ახლა იმპორტზე იხარჯება.


1.2. მთლიანი ეროვნული შემოსავალი

2011 წლის პირველ კვარტალში, ქვეყნის მთლიანი ეროვნული შემოსავალი, ანუ, საქართველოში წარმოებული საქონლისა და მომსახურების ღირებულება, 4,994.8 მილიონი ლარის ტოლია, რაც გასული წლის პირველი კვარტლის მაჩვენებელს, 4,233.6 მილიონ ლარს, აღემატება, თუმცა წინა წლის დაწარჩენი კვარტლების მაჩვენებლებს ჩამოუვარდება (გრაფიკი 10). მთლიანი ეროვნული შემოსავალი ზრდამ 2011 წლის 1-ლ კვარტალში დაახლოებით 18%-ი შეადგინა, რაც 2%-ით ნაკლებია მთლიანი ეროვნული შემოსავალი ზრდაზე.

გრაფიკი 10
მთლიანი ეროვნული შემოსავალი (მილ.ლარი)
www.geostat.ge



გრაფიკი 11
მშპ და მთლიანი ეროვნული შემოსავალი (2005-2011)
www.geostat.ge



მთლიანი ეროვნული შემოსავალი უდრის მშპ-ის პლუს წმინდა შემოსავალი მიღებული დანარჩენი მსოფლიოსაგან. ამიტომ, ქვეყანას, რომლის ვალეებიც იზრდება და რომელიც ამ ვალებს, როგორც შემოსავალს ხარჯავს, მაღალი მშპ და დაბალი მთლიანი ეროვნული შემოსავალი ექნება. მეტიც, თუ ქვეყანა თავის რესურსებს სხვა ქვეყნებს მიჰყიდის, ესეც მშპ-ის ზრდას გამოიწვევს, თუმცა მთლიანი ეროვნულ შემოსავალს შეამცირებს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს საგარეო ვალი, ომისა და კრიზისის შემდგომ წლებში, აღმავალი ტენდენციით გამოირჩევა. მოცემულ გრაფიკზე (გრაფიკი 11) ჩანს როგორც მშპ-ის, ასევე მთლიანი ეროვნული შემოსავლის მეტ-ნაკლებად თანაბარი ცვალებადობა, თუმცა მთლიანი ეროვნული შემოსავლის მაჩვენებელი, ძირითადად, მშპ-ზე ოდნავ დაბალია.


2. საბარეო ვაჭრობა

საქართველოს საგარეო ვაჭრობის ზოგადი ტენდენციები გრაფიკშია მოცემული (გრაფიკი 12), რომელშიც ჩანს ქვეყნის ექსპორტის თანმიმდევრული ზრდა. თუმცა, ეს ზრდა გაცილებით ჩამოუვარდება იმპორტის ზრდის ტემპს, რისი შედეგიც მუდმივი სავაჭრო დეფიციტია, რომელმაც 2011 წელს სიდიდით მეორე მაჩვენებელს მიაღწია (2008 წლის -1986 მილიონი აშშ დოლარის შემდეგ) და -1614 მილიონ აშშ დოლარი შეადგინა.

საგარეო ვაჭრობის მთლიანი ბრუნვა 2011 წლის იანვარ-მაისში, 3.328 მილიონი აშშ დოლარი იყო, რაც გასული წლის მაჩვენებელს (2434 მილიონი აშშ დოლარი) 37%-ით აღემატება. ეს ზრდა ძირითადად იმპორტის ზრდას ასახავს. მთელ სავაჭრო ბრუნვაში ექსპორტი 857 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს (41%-იანი ზრდა წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით). მეორეს მხრივ, იმპორტი მთლიანი სავაჭრო ბრუნვის 65%-ს შეადგენს, რაც 2471 მილიონი აშშ დოლარია (35%-იანი ზრდა გასულ წელთან შედარებით). ამიტომ, სავაჭრო დეფიციტი -1614 მილიონი აშშ დოლარის ტოლია, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 32%-ით მაღალია.


გრაფიკი 12

საგარეო ვაჭრობის ზოგადი მაჩვენებლები (2006-2011) www.geostat.ge



გრაფიკი 13

სამომხმარებლო საქონელზე ფასების ცვლილების გავლენა სავაჭრო ბალანსზე (www.imf.org)




სავაჭრო ბალანსის დარღვევას (გრაფიკები 12 და 13) უმთავრესად იმპორტის და იმპორტირებულ პროდუქტებზე ფასების ზრდა იწვევს და ვინაიდან ქვეყანა მისთვის საჭირო ნავთობისა და ბუნებრივი აირის წმინდა იმპორტიორია, რომლებზეც ფასებმა 2011 წლის პირველ კვარტალში მკვეთრად მოიმატა, სავაჭრო დეფიციტიც უფრო მაღალია (გრაფიკი 12), რაც გარე ოფიციალური წყაროებიდან უნდა დაიფაროს. ამავე დროს, სასაქონლო ფასების ინფლაციის გამო, მოსალოდნელია ევროპის გარდამავალი ქვეყნების ვაჭრობის შემცირება იმპორტზე მაღალი დამოკიდებულების გამო (www.imf.org). თუ სავაჭრო ბალანსი მომავალ წლებშიც უარყოფითი იქნა, საქართველოს მთავრობა იძულებული გახდება ამ სავაჭრო დეფიციტის დასაფარად უცხოური ვალდებულებები კიდევ უფრო გაზარდოს, რაც იმას ნიშნავს, რომ საგარეო ვალდებულებების შესასრულებლად მრეწველობის სექტორიდან მეტი ფული იქნება ამოღებული, რაც, თავის მხრივ, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას შეაჩერებს.

საქონლის ექსპორტიორი ეკონომიკები წარმოებს ზრდიან და შესაბამისად, ამ ქვეყნებში უმუშევრობის დონე მცირდება; წმინდა იმპორტიორი ქვეყნები კი საქონელზე ფასების ზრდით ვერანაირ მოგებას ვერ ღებულობენ. რადგან საქართველოს მისთვის საჭირო ნავთობისა და ბუნებრივი აირის მარაგები თითქმის მთლიანად შემოაქვს (www.cia.org), ამ პროდუქტებზე ფასის ზრდამ კიდევ უფრო გააუარესა საქართველოს სავაჭრო ბალანსი მაშინ, როდესაც ენერგორესურსების ექსპორტიორი ქვეყნების ვაჭრობაში, როგორებიცაა რუსეთი, აზერბაიჯანი და ყაზახეთი, გაუმჯობესება შეიმჩნევა (გრაფიკი 13).


რაც შეეხება მსხვილ სავაჭრო პარტნიორებს (გრაფიკი 14), გაიზარდა ვაჭრობა ევროკავშირის ქვეყნებთან, რომელიც ახლა მთლიანი სავაჭრო ბრუნვის 25%-ს შეადგენს (32%-ით მეტი, ვიდრე გასულ წელს), ხოლო დსთ-ის ქვეყნებთან ვაჭრობა მთლიანი სავაჭრო ბრუნვის 35%-ის და 1150 მილიონი ლარის ტოლია, რაც გასულ წელთან შედარებით 47%-იანი ზრდაა (www.economy.ge). საერთოდ, თურქეთი ქვეყნის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია იმპორტის კუთხით, ხოლო აზერბაიჯანი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია ექსპორტის თვალსაზრისით.

სხვა ქვეყნებიდან საქართველოს ძირითადად ნავთობი და ნავთობპროდუქტები, მსუბუქი ავტომობილები, ნავთობის აირები, ხორბალი და ფარმაცევტული პროდუქცია შეამოაქვს; სხვა ქვეყნებში სა-

ბრაზიკი 14
უმსხვილესი პარტნიორები (2011)
www.geostat.ge



ბრაზიკი 15
შემოსავლები ძირითადი ექსპორტიდან (2007-2011)
www.geostat.ge



ქართველოს ძირითადად მსუბუქი ავტომობილები (რე-ექსპორტი), ფეროშენადნობები, სასუქები, შავი ლითონის ნარჩენები და ჯართი გააქვს. ფეროშენადნობები, რომელიც ტრადიციულად, საქართველოს უმსხვილესი საექსპორტო საქონელი იყო, ახლა სიდიდით მეორე საექსპორტო საქონელია. მისი ექსპორტი, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 4.6%-ით შემცირდა, ხოლო ფასი 33.9%-ით გაიზარდა. ამავე დროს, ოქროს ფასის 22%-იანი კლება აღინიშნა მაშინ, როდესაც 2011 წლის 1-კვარტალში ამ საქონლის ექსპორტის მოცულობა მთელი 2010 წლის განმავლობაში ექსპორტირებული მოცულობის ტოლია (www.nbg.ge). გრაფიკი 15-ში წარმოდგენილია მსხვილი საექსპორტო საქონლიდან მიღებული შემოსავალი ფულად გამოსახულებაში; სამწუხაროდ ამ ექსპორტის კვარტალური ვერც ფულადი და ვერც ფიზიკური მოცულობების მონაცემები ვერ მოვიპოვეთ. და მაინც, ქვემოთ წარმოდგენილი მონაცემები წარმოდგენას გვიქმნის ზოგად ტენდენციაზე – შემოსავალი ძირითადად ფეროშენადნობების ექსპორტიდან მოდის, რომელსაც შავი ლითონის ნარჩენები/ჯართი და ოქრო მოსდევს.

საქართველოს სავაჭრო ბრუნვის ზრდა საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული ლიბერალური სავაჭრო რეჟიმის შედეგია, როგორცაა დაბალი ტარიფები იმპორტზე, ძალზე ცოტა იმპორტ/ექსპორტის ლიცენზია და ნებართვა, იმპორტ/ექსპორტის მოცულობაზე შეზღუდვის არარსებობა, ექსპორტსა და რე-ექსპორტზე საბაზო მოსაკრებლის არარსებობა, ექსპორტის დაუბეგრავობა და მატებითი ღირებულების გადასახადით (დღგ) და გამარტივებული ექსპორტ/იმპორტის პროცედურები (www.mof.ge). თუმცა, ეს გამარტივებული რეჟიმები მხოლოდ დსთ-ის ქვეყნებში მოქმედებს, ვინაიდან სურსათზე სათანადო კონტროლისა და სურსათის ხარისხის კონტროლი მექანიზმის არარსებობის გამო, საკვები პროდუქტების ექსპორტი ევროკავშირის ბაზრებზე შეუძლებელია. ეს მექანიზმები საქართველოში ჯერ კიდევ შემუშავების პროცესშია. გარდა ამისა, ლიბერალურმა სავაჭრო რეჟიმმა, როგორც ჩანს, ძირითადად იმპორტის ზრდას შეუწყო ხელი მიუხედავად იმისა, რომ უმთავრესი მიზანი ექსპორტის ზრდა იყო.


3. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

კრიზისის შემდეგ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა კვლავ საქართველოს მთავრობის მთავარ გამოწვევად რჩება. ქვეყანა იბრძვის, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კრიზისის წინა დონეს მიაღწიოს. საქართველო დიდწილად არის პირდაპირ უცხოური ინვესტიციებზე დამოკიდებული, რაც, თავის მხრივ, ეკონომიკური ზრდის საკმაოდ არასტაბილური წყაროა; ჩვენ მომსწრე გავხდით იმისა, თუ როგორ გამოიწვია ბევრ ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კლებამ სერიოზული მაკროეკონომიკური პრობლემები. კრიზისის შემდეგ, კონკურენცია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში კიდევ უფრო გამწვავდა; გარდა ამისა, თავისუფალი კაპიტალის ხელმისაწვდომობამ იკლო იმის გამო, რომ განვითარებული კაპიტალის ბაზრის მქონე ქვეყნებს დიდი ვალეები წარმოეშვათ.


2011 წლის 1-ლ კვარტალში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 174 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2009 და 2010 წლის ანალოგიურ მონაცემებზე, შესაბამისად, 1.5-ჯერ და 2.3-ჯერ მეტია. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მთლიანი მოცულობიდან 67% ევროკავშირის ქვეყნებზე მოდიოდა და ამ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ძირითადი სამიზნე მრეწველობა და ფინანსური სექტორი იყო (www.economy.ge). გარდა ამისა, წარმოდგენილი გრაფიკებიდან (გრაფიკი 16 და 17) ჩანს, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წლიური მაჩვენებელი 2009 წლიდან მოყოლებული შემცირდა 658,400.6-დან 2009 წელს 553,056.1-მდე 2010-ში.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიზნით, საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ, სადაც ბიზნესებს ხელსაყრელ ბიზნეს-კლიმატს, სტრატეგიულ გეოგრაფიულ მდებარეობას, ლიბერალურ სავაჭრო რეჟიმს, კვალიფიციურ სამუშაო ძალას და ამავე დროს, გადასახადებისაგან განთავისუფლებას სთავაზობენ. ამჟამად სამი თავისუფალი ინდუსტრიული ზონა მოქმედებს – ფოთში, ქუთაისსა და თბილისში (www.


გრაფიკი 16
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (2009—2011)
www.geostat.ge



გრაფიკი 18
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკური
საქტორების მიხედვით 2011 წლის 1-ლი კვარტალი
www.geostat.ge



გრაფიკი 17
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკური
სექტორების მიხედვით (2007-2010) www.geostat.ge



investingorgia.org, www.mof.ge). ეს ზონები ჯერ კიდევ ინვესტორთა მოზიდვის და ძირითადად, მრეწველობის დარგში სანარმოების შექმნის პროცესში არიან. ამიტომ მათი გავლენა ქვეყნის მშპ-ისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მდგომარეობაზე ჯერჯერობით უცნობია. ჩვენი აზრით, ამ ზონების, როგორც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის საშუალების შექმნა არაშესაფერისი და ნაკლებად ეფექტიანია.

მოცემული გრაფიკები 17 და 18 წარმოგიდგენთ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განაწილებას სხვადასხვა სექტორების მიხედვით 2007-2010 წლებსა და 2011 წლის პირველ კვარტალში.

2009 წლის განმავლობაში, გლობალური და ადგილობრივი ეკონომიკური კრიზისის შედეგად, ყველა სექტორში მკვეთრი კლება აღინიშნა. ვითარება მნიშვნელოვნად არც 2010 წელს შეცვლილა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ძირითადად ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სექტორში, ასევე სამთომომპოვებით და წარმოების სექტორებში მიედინება, ხოლო სოფლის მეურნეობა ინვესტორებისათვის ყველაზე ნაკლებ მიმზიდველ სექტორად რჩება.

მდგომარეობა იდენტურია 2011 წლის 1-ლ კვარტალში, სადაც პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისთვის მთავარ სექტორებად სამთო მოპოვება და წარმოება რჩება (47%), ასევე მიმზიდველია სამშენებლო სექტორი (23%); ტრანსპორტი. კომუნიკაცია კი ამ კვარტალში ისეთი მიმზიდველი აღარ არის, როგორც უნინ იყო. სოფლის მეურნეობის და თევზჭერის სექტორმა მთლიანი ინვესტიციების მხოლოდ 1%-ის მოზიდვა შეძლო. საჭიროა ამ სექტორის მეტი პოპულარიზაცია და პირველ რიგში, მისი გაუმჯობესება, რომ ინვესტორებისათვის უფრო მიმზიდველი გახდეს.

4. სამომხმარებლო ფასების ინდექსი და უმუშევრობა

სამომხმარებლო ფასების ინდექსი, რომლითაც სამომხმარებლო საქონელსა და მომსახურებაზე ფასების ცვლილება იზომება, საქართველოში იზრდება. წელს ქვეყნის მთავარი პრობლემა ინფლაცია იყო. ინფლაცია დსთ-ის მასშტაბით მაღალია; 2010 წელს ხორბლის მცირე მოსავალმა სურსათზე ფასები გაზარდა, რაც რეგიონში სამომხმარებლო ფასების ინდექსის 30-50%-ს შეადგენს (www.imf.org). საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახურის მონაცემების მიხედვით, 2001 წლის მარტის ბოლოს, წლიურმა ინფლაციამ 13.9%-ს მიაღწია, რაც ბოლო სამი წლის რეკორდული მაჩვენებელია. ზრდა ძირითადად საკვებ პროდუქტებზე ფასებს შეეხო, რაც საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ-ი) მიხედვით, დაბალი პროდუქტიულობის და 2010 წელს მსოფლიოში მომხდარი ბუნებრივი კატასტროფების შედეგი იყო. ამ მოსაზრებას ამყარებს შედარებით დაბალი ინფლაციის დონე (2.1% მარტში) მომსახურების სექტორში, რაც იმას ნიშნავს,

რომ ინფლაცია მოთხოვნის მატებას არ გამოუწვევია, არამედ უფრო მსოფლიო ბაზრებზე ფასების მატების შედეგია. ხორბალზე მსოფლიო ფასის ზრდის შედეგად, საქართველოში ფასების მატება პურსა და ხორცის პროდუქტებზე აღინიშნა, რომლებიც მოხმარების ძირითად ნაწილს შეადგენს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მთლიანი იმპორტის 15.8%-ს საკვები პროდუქტები შეადგენს. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსგან მიღებული ინფორმაციის თანახმად, ერთი ტონა ხორბლის ფასი 2010 წელს 238 აშშ დოლარს შეადგენდა, თუმცა 2011 წლის პირველ კვარტალში, 52%-იანი ზრდა დაფიქსირდა და ერთი ტონა ხორბლის ფასმა 363 აშშ დოლარს მიაღწია. ეს ფაქტი ამყარებს იმ ვარაუდს, რომ ხორბალზე ფასის ზრდამ გავლენა საქართველოს სამომხმარებლო კალათაზე იქონია.


ამავე დროს, ხილი და ბოსტნეულიც სეზონურად გაძვირდა. გარდა ამისა, განვითარებადი ქვეყნების უმეტესობის მსგავსად, საქართველოში საკვებ პროდუქტებს სამომხმარებლო კალათის უდიდესი წილი (40.5%) უჭირავს (გრაფიკი 19); სურსათზე ინფლაციის წილმა მთელი ინფლაციის თითქმის 86% შეადგინა (www.nbg.ge), რაც იმას ნიშნავს, რომ სურსათზე ფასების ზრდა დიდ გავლენას ახდენს სამომხმარებლო ფასების ინდექსზე და მძიმე ტვირთად აწვება მოსახლეობას. გარდამავალ ეკონომიკებში ინფლაცია უფრო დიდი პრობლემაა, ვინაიდან მოხმარებაში საკვების (გრაფიკი 19) და სანვავის წილი უფრო მაღალია, ხოლო მონეტარული პოლიტიკის საიმედოობა – დაბალი (www.imf.org).

სეზონურობის ფაქტორზე გაკეთებულ ვარაუდს კიდევ უფრო ამყარებს 2011 წლის ივნისში საკვებ პროდუქტებზე ფასების კლება, რაც ძირითადად ხილზე, ყურძენსა და ბოსტნეულზე ფასების შემცირებით გამოიხატა. მთლიანობაში, თვიური ინფლაციის მაჩვენებელი 4%-ით შემცირდა 2011 წლის ივნისში. ქვემოთ მოცემული გრაფიკი (გრაფიკი 20) გვიჩვენებს ინფლაციის საშუალო მაჩვენებელს 2009 წლიდან, კვარტალების მიხედვით.

დაბალი ინფლაცია აღინიშნა 2009 წელს, რაც მიმდინარე ეკონომიკური კრიზისის დროს მოთხოვნის ვარდნითა და შესაბამისად, მომხარებლების დაბალი მსყიდველუნარიანობით შეიძლება აიხსნას.

გრაფიკი 19


საკვების წილი სამომხმარებლო ფასების ინდექსში დსთ-ს ზოგიერთი ქვეყნისთვის www.imf.org



გრაფიკი 20

საშუალო ინფლაციის დონე საქართველოში % (2009-2011)

www.geostat.ge




სასაქონლო ფასების ზრდა სხვა განვითარებად ქვეყნებშიც აღინიშნა. ეს წლის პირველ ნახევარში ნავთობზე გაზრდილი ფასებით იყო გამოწვეული; რაც შეეხება საკვებს, მთავარი ფაქტორი უამინდობის გამო მოსავლის კლება იყო. შიშობენ, რომ მსოფლიო ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორი შეიძლება ნავთობის მიწოდებაში პრობლემების გამო ნავთობზე ფასების შემდგომი ზრდა იყოს.

ზოგადად, მიჩნეულია, რომ ინფლაციას ვალუტის გაუფასურება იწვევს, რაც საქართველოს შემთხვევაში არ მომხდარა. სებ-ს მიაჩნია, რომ 2011 წლის 1-ლ კვარტალში ქართული ეროვნული ვალუტის გამყარება ტურიზმიდან მიღებული შემოსავლის, უცხოეთიდან ფულადი გზავნილების და საერთაშორისო საფინანსო ბაზრებზე აშშ დოლარის გაუფასურების შედეგად მოხდა (www.nbg.ge). ძირითადად უმუშევრობის მაღალი დონის გამო, ქვეყნიდან მიგრაციის მზარდი ტენდენცია შეინიშნება (ამაზე ქვემოთ ვისაუბრებთ), რაც გზავნილების მოცულობის ზრდის მთავარი მიზეზია. ამიტომ, ფულადი გზავნილების მოცულობა იმ ქვეყნების ეკონომიკურ მდგომარეობაზე დიდწილად დამოკიდებული, რომლებიდანაც ეს გზავნილები შემოდის. შესაბამისად, გლობალური კრიზისის დროს ფულადი გზავნილების კლების მონმენი გავხდით. 2011 წლის 1-ლ კვარტალში, უცხოეთიდან ფულადმა გზავნილებმა 208.9 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 15%-იანი ზრდაა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით (www.nbg.ge).

მეტიც, არსებობს უკუკავშირი ინფლაციასა და უმუშევრობას შორის, ანუ, როდესაც ინფლაცია მაღალია, უმუშევრობა დაბალია და პირიქით. თუმცა, საქართველოში ასე არ არის. აქ ორივე მაჩვენებლის – ინფლაციისა და უმუშევრობისა – ზრდა დაფიქსირდა (გრაფიკი 21). ეს ფაქტი შეიძლება აიხსნას უცხოეთიდან ფულადი გზავნილების სიდიდით, რაც მოთხოვნის დონეს და, შესაბამისად, ფასებს ზრდის.

გრაფიკი 21
 უმუშევრობის დონე (%) (1998-2010)
 www.geostat.ge




როგორც წარმოდგენილი გრაფიკიდან ჩანს (გრაფიკი 21), დასაქმებულთა მაჩვენებელი მყარ დაღმავალ ტენდენციას ავლენს. 2010 წლის ბოლო მონაცემებით უმუშევრობის დონე 16.3%-ს შეადგენს. ბოლო წლებში საკმაოდ მასშტაბური შემცირებები ვიხილეთ ქვეყნის სახელმწიფო სექტორებში; შესაძლოა, თანამშრომელთა რაოდენობის შემცირებამ დარჩენილი პერსონალისთვის ხელფასების გაზრდა გახადა შესაძლებელი.

ამავე დროს, დასაქმებულად რეგისტრირებულთა შორის უმეტესობა თვითდასაქმებულია. ეს კატეგორია უმეტესად სოფლის მეურნეობის სექტორშია კონცენტრირებული. ამიტომ არის, რომ სამუშაო ადგილების შექმნა საქართველოში სოფლის მეურნეობისა და საკვები მრეწველობის სიმძლავრეების სრულად გამოყენების გარეშე ვერ მოხდება. ამიტომ, ოფიციალურად დასაქმებულთა რაოდენობა კიდევ უფრო მცირეა, ვიდრე ოფიციალური სტატისტიკით ნაჩვენები ციფრი. ეს ნიშნავს, რომ სოციალური გადასახადის გადამხდელების რაოდენობა საკმაოდ ცოტაა; ამიტომ, თვითდასაქმებული სამუშაო ძალა ვერ ჩაითვლება იმდენად სტაბილურ ძალად, ანდა, ვერ შექმნის იმდენ შემოსავალს, რომ ქვეყანაში სიღარიბის დონის დასაძლევად იყოს საკმარისი. მოკლედ თუ ვიტყვით, ფორმალური დასაქმების შესაძლებლობების ნაკლებობა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სერიოზული შემაფერხებელი ფაქტორია.

მეტიც, საქართველოს ინფლაციისა და უმუშევრობის 2011 წლის მაჩვენებლებმა მეზობელი სომხეთისა და აზერბაიჯანის შესაბამის მაჩვენებლებს გაასწრო (გრაფიკი 22).

ბრაზიკი 22

ინფლაციისა და უმუშევრობის მაჩვენებლები (2008-2011)
www.geostat.ge



ამავე დროს, საქართველოს ინფლაციისა და უმუშევრობის ინდექსები რეგიონის სხვა ქვეყნების შესაბამის მაჩვენებლებს აღემატება (გრაფიკი 23). მეტიც, აზერბაიჯანში, როგორც ნავთობის ექსპორტიორ ქვეყანაში, ინფლაციის მაღალი დონე, მეზობელი ქვეყნებისგან განსხვავებით, კრიზისამდელ პერიოდში იყო, თუმცა ვითარება კრიზისის დროს და კრიზისის შემდეგ ნავთობის ფასების მატებასთან ერთად რადიკალურად შეიცვალა.

ბრაზიკი 23

დსთ-ს ქვეყნების მაჩვენებლები
(www.imf.org)

	Real GDP			Consumer Prices ¹			Current Account Balance ²			Unemployment ³		
	2010	Projections		2010	Projections		2010	Projections		2010	Projections	
		2011	2012		2011	2012		2011	2012		2011	2012
Commonwealth of Independent States (CIS)⁴	4.6	5.0	4.7	7.2	9.6	8.1	3.8	4.7	3.2
Russia	4.0	4.8	4.5	6.9	9.3	8.0	4.9	5.6	3.9	7.5	7.3	7.1
Ukraine	4.2	4.5	4.9	9.4	9.2	8.3	-1.9	-3.6	-3.8	8.1	7.8	7.2
Kazakhstan	7.0	5.9	5.6	7.4	9.1	6.4	2.5	5.8	4.2	5.8	5.7	5.6
Belarus	7.6	6.8	4.8	7.7	12.9	9.7	-15.5	-15.7	-15.2	0.7	0.7	0.7
Azerbaijan	5.0	2.8	2.5	5.7	10.3	7.5	27.7	28.4	24.2	6.0	6.0	6.0
Turkmenistan	9.2	9.0	6.4	4.4	6.1	7.3	-11.4	-4.7	-3.9
Mongolia	6.1	9.8	7.1	10.2	16.4	16.0	-15.2	-13.3	-14.0	3.3	3.0	3.0
Low-Income CIS	6.0	5.0	4.8	7.4	11.4	9.2	11.0	13.1	10.3
Uzbekistan	8.5	7.0	7.0	9.4	11.6	12.3	6.7	10.0	6.7	0.2	0.2	0.2
Georgia	6.4	5.5	4.8	7.1	12.6	7.9	-9.8	-13.0	-12.0	16.8	16.7	16.5
Armenia	2.6	4.6	4.3	8.2	9.3	5.5	-13.7	-12.4	-11.3	7.0	7.0	7.0
Tajikistan	6.5	5.8	5.0	6.5	13.9	9.7	2.2	-4.1	-7.2
Kyrgyz Republic	-1.4	5.0	6.0	7.8	18.8	9.3	-7.4	-6.7	-7.8	5.8	5.6	5.5
Moldova	6.9	4.5	4.8	7.4	7.5	6.3	-10.9	-11.1	-11.2	7.4	6.5	6.0
Memorandum												
Net Energy Exporters ⁵	4.4	5.0	4.6	6.9	9.4	8.0	5.3	6.3	4.5
Net Energy Importers ⁶	5.1	5.3	4.9	8.7	10.7	8.7	-6.5	-7.9	-8.0

¹Movements in consumer prices are shown as annual averages. December–December changes can be found in Table A7 in the Statistical Appendix.
²Percent of GDP.
³Percent. National definitions of unemployment may differ.
⁴Georgia and Mongolia, which are not members of the Commonwealth of Independent States, are included in this group for reasons of geography and similarities in economic structure.
⁵Net Energy Exporters comprise Azerbaijan, Kazakhstan, Russia, Turkmenistan, and Uzbekistan.
⁶Net Energy Importers comprise Armenia, Belarus, Georgia, Kyrgyz Republic, Moldova, Mongolia, Tajikistan, and Ukraine.

ზემოთ ნაჩვენებ გრაფიკში 23 წამოდგენილია რეალური მშპ-ის, ფასების ინდექსების, საბიუჯეტო ბალანსების და უმუშევრობის დონეების პროგნოზები (ნლიური ცვლილება, %) დსთ-ის ქვეყნებისათვის. გრაფიკში საქართველო დსთ-ის ქვეყნად არის წარმოდგენილი, გეოგრაფიული მდებარეობისა და ეკონომიკური სტრუქტურის მსგავსების გამო. 2011 წელს, მშპ-ის 5.5%-იანი ზრდა არის ნავარაუდები, რაც 2010-ის მაჩვენებელზე ნაკლებია. 2012-ში ზრდის ტემპი კიდევ უფრო, 4.8%-მდე შემცირდება. 2011 წელს, სფი-ს 12.6%-იანი ზრდაა პროგნოზირებული, რაც მნიშვნელოვანი მატებაა 2010 წლის 7.1%-იან მაჩვენებელთან შედარებით. პროგნოზის მიხედვით, ეს მაჩვენებელი 2012 წელს 7.9%-მდე შემცირდება. ინფლაციის ზოგადი ტენდენცია დსთ-ის სხვა ქვეყნებშიც საკმაოდ მზარდია. 2011 წელს, საქართველოში მიმდინარე საბიუჯეტო ბალანსის ზრდას -13.0%-მდე ვარაუდობენ (2010 წლის -9.8%-ის შემდეგ), და მხოლოდ 1%-იან შემცირებას 2012 წელს. მიმდინარე ანგარიშის ბალანსის დეფიციტი დსთ-ის ქვეყნების საერთო დამახასიათებელი ნიშანია. დსთ-ის მასშტაბით საქართველოში რეკორდულად მაღალია უმუშევრობა, რომელმაც 2010 წელს 16.8%-ი შეადგინა, 2011 წელს კი მხოლოდ 1%-იანი კლებაა ნავარაუდები. ვითარება ამ მხრივ დიდად არც 2012 წელს შეიცვლება.

5. საბანკო სექტორი

ქვეყანაში დანაზოგების სიმცირის პრობლემა ეკონომიკას იმდენად დამოკიდებულს ხდის პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე, რომ ვითარება ძალიან არასტაბილურია. საბანკო სისტემაში ანაბრებსა და სესხებს შორის ნეგატიური ბალანსია, რაც განსაკუთრებით სახიფათოა, ვინაიდან საშუალო სესხი საშუალო ანაბარს თითქმის 2.5-ჯერ აღემატება. ანაბრების მოცულობა 2011 წლის პირველ კვარტალში გაიზარდა, მაგრამ ეს ზრდა სესხის მოცულობის ზრდასთან შედარებით მოკრძალებულია (www.nbg.ge). მეტიც, ანაბრები ძირითადად მოკლევადიანია, რაც მოსახლეობაში არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობის, მომავლის არაპროგნოზირებადობის განცდის ამსახველია. ამის საპირიპიროდ, გრძელვადიანი დაკრედიტება სწრაფი ტემპით გაიზარდა და მთელი საკრედიტო პორტფელის 70.9%-ი შეადგინა, ძირითადად, საერთაშორისო კაპიტალის ხარჯზე. იმას, რომ ნდობის ნაკლებობაა როგორც მოსახლეობაში, ასევე კომერციულ ბანკებში, მთელი დეპოზიტების 72.1%-ის და მთელი კრედიტების 73.2%-ის დოლარიზაცია ადასტურებს. დოლარიზაციის მაღალ მაჩვენებელთან ერთად, საკმაოდ მაღალია შეუსრულებელი სესხების წილიც, რომელმაც 2011 წლის 1-ლ კვარტალში 11.8%-ს მიაღწია (www.nbg.ge).

გამართულად ფუნქციონირებადი საბანკო სისტემა უმნიშვნელოვანესია ეკონომიკური განვითარებისთვის. სამწუხაროდ, საქართველოს საბანკო სისტემა ვერ ჩამოყალიბდა მდგრად ინსტიტუტად, რომელსაც ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა შეეძლებოდა. საბანკო სექტორი შედარებით ახალი დარგია ქვეყანაში და ამიტომაც, მისი განუვითარებლობა სავსებით გასაგები მოვლენაა. სწორედ ამიტომ არის, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ღერძია მაშინ, როდესაც შიდა დანაზოგების და კაპიტალის მობილიზების ალტერნატიული საშუალებების გაჩენა უფრო მნიშვნელოვანია. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები შიდა დანაზოგების დეფიციტის შევსების წყაროდ უნდა განიხილებოდეს და არა ეკონომიკური განვითარების მამოძრავებელ ძალად.


ანაბრების სიმცირის გამო, საქართველოს საბანკო სისტემას ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის საკმარისი საკრედიტო რესურსები არა აქვს. დეპოზიტების მცირე მოცულობა, შესაძლოა, საზოგადოებაში ნდობის ნაკლებობით იყოს გამოწვეული, ამიტომ, აქტივების დასაფინანსებლად ბანკი უცხოური რესურსების იმედზეა. ანაბრების დაზღვევის ინსტიტუტის შემოღება, რასაც მსოფლიოს ბევრი ქვეყანა იყენებს, დეპოზიტების მოზიდვისა და მოსახლეობაში ნდობის ამაღლების ერთ-ერთი გზაა.

სებ-ის ინფორმაციის თანახმად. 2011 წლის 1-ლ კვარტალში, ბანკების მხოლოდ საკრედიტო პორტფელმა 6,428.9 მილიონ ლარს მიაღწია, რაც გასულ წელთან შედარებით მკვეთრი მატებაა (დაახლოებით 19%-ით). ამავე დროს, კრედიტების დოლარიზაციის წილი თითქმის 73.2%-ია. ეს ციფრი კი იმის მაჩვენებელია, რომ ეროვნული ვალუტა შედარებით მერყევე და არასაიმედო ვალუტად მოიაზრება, მოსახლეობა არ ენდობა ლარს და აშშ დოლარი უფრო პროგნოზირებადი და საიმედო ვალუტად მიაჩნია. იგივე შეიძლება ითქვას იმ ბანკებზე, რომლებიც ლარში დენომინირებულ ანაბრებზე უფრო მაღალ საპროცენტო განაკვეთს სთავაზობენ.

წარმოგიდგინებ ბანკების მიერ გაცემულ სესხებს სხვადასხვა საქმიანობის მიხედვით.

როგორც მოცემული გრაფიკიდან (გრაფიკი 24) ჩანს, სოფლის მეურნეობას, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქვეყნის განვითარებისათვის უმნიშვნელოვანესი სექტორია, მთლიანი კრედიტის მხოლოდ 1%-ი ერგო, ფინანსები კი ძირითადად ისეთი სექტორებისაკენ მიედინება, სადაც სამუშაო ადგილების შექმნის შესაძლებლობები საკმაოდ შეზღუდულია. ეს განსაკუთრებით ვაჭრობას ეხება, რაც შეიძლება მოხმარების შემცველად განვიხილოთ. ამასობაში კი, საქართველო უფრო მეტი და მეტი საქონლის იმპორტირებას ახდენს, რაც უცხოური კრედიტებით იფარება, ხოლო ეკონომიკის ის დარგები, რომლებსაც იმპორტის ჩანაცვლების ყველაზე დიდი პოტენციალი გააჩნია, საბანკო დაფინანსების გარეშე რჩება, როგორც ამას სოფლის მეურნეობის მაგალითზე ვხედავთ. მიგვაჩნია, რომ მსხვილი სასოფლო-სამეურნეო მიწა გარანტიად იშვიათად გამოიყენება და შესაბამისად, მისი კაპიტალიზაცია არ ხდება. ამრიგად, უზარმაზარი სიმდიდრე არის გამოუყენებელი.

გრაფიკი 24
სესხები ეკონომიკური სექტორის მიხედვით 06-2011
(www.nbg.ge)




რომ შეეჯამოთ, ჩვენ მიგვაჩნია, რომ საქართველოს კვლავ აკლია ეკონომიკური ზრდის ადგილობრივი ლოკომოტივები, რომლებსაც აქვთ პოტენციალი, აითვისონ საბანკო კაპიტალი და ასევე, ხელი შეუწყონ დანაზოგების და შესაბამისად, ინვესტიციების ზრდას.

6. კონსოლიდირებული ბიუჯეტი

კონსოლიდირებული ბიუჯეტის მთლიანი შემოსავლები, მათ შორის შემოსავალი და გრანტები, 2011 წლის პირველ კვარტალში 1,764.1 მილიონ ლარს შეადგენდა. შემოსავლის ძირითადი წყარო გადასახადებია – 1.559 მილიონი ლარი. აღსანიშნავია, რომ ბოლო ორ წელიწადში საგადასახადო შემოსავლები მკვეთრად გაიზარდა (გრაფიკი 25), თუმცა როგორც მომდევნო ნაწილში ვისაუბრებთ, ქვეყანაში გადასახადების მნიშვნელოვანი კლებას/გაუქმება ხდება. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიხედვით, ეს ზრდა გადასახადების უკეთესი ადმინისტრირების/შეგროვების და კორუფციის მკვეთრი კლების შედეგია (www.mof.ge). ამავე დროს, ეს ზრდა, შესაძლოა ხელსაყრელი ბიზნესგარემოს შედეგად იყოს, რაც არსებული ბიზნესების გაფართოების და ახალი ბიზნესის დაწყების შესაძლებლობას იძლევა და, შესაბამისად, ქვეყანაში მეტი გადასახადის გადამხდელი ჩნდება.

საქართველოს შემოსავლების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წყარო გრანტებია – 78,2 მილიონი ლარი. მიმდინარე წლის 1-ლ კვარტალში მობილიზებული შემოსავლები მშპ-ის 34.4%-ს შეადგენს, რაც გასული წლის მაჩვენებელზე 3.7%-ით მეტია. 2011 წლის 1-ლ კვარტალში, მთლიანმა საბიუჯეტო ხარჯებმა 1,231.5 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 2%-იანი ზრდაა გასული წლის იმავე კვარტალთან შედარებით. მთლიანი ხარჯები მშპ-ის 30.6%-ია, რაც გასული წლის იმავე პერიოდის მაჩვენებელზე 2.7%-ით ნაკლებია. 2011 წლის 1-ლ კვარტალში, ეროვნული ბანკის სარეზერვო ფონდები 15.9%-ით შემცირდა. მიმდინარე ინფლაციის მოთოკვის მიზნით, პირველ კვარტალში

გრაფიკი 25
შემოსავლები გადასახადებიდან (2009-2011)
(www.geostat.ge)




მკაცრი მონეტარული პოლიტიკა ტარდებოდა (www.nbg.ge). მოცემული გრაფიკი (გრაფიკი 26) გვიჩვენებს სახელმწიფოს შემოსავლებსა და ხარჯებს შორის კორელაციას 2009 წლიდან. ზოგადი ტენდენცია 2009 წლიდან შემოსავლების თანმიმდევრული კლებას და 2009-სთან შედარებით, ხარჯების მცირე კლებას გვიჩვენებს. მთლიანობაში, მაჩვენებლებში ცვლილებები ძალზე მოკრძალებულია; საქართველოს მთავრობა მკაცრ ფისკალურ პოლიტიკას ატარებს, ე.ი. ქვეყნის ბიუჯეტში შემოსავლების გადამეტება ხარჯებზე (198 მილიონი ლარი), რაც მშპ-ის 3.9%-ს შეადგენს.

წარმოგენილი გრაფიკი (გრაფიკი 27), ხარჯების ძირითად მიმართულებებს გვიჩვენებს. რადგან საქართველოს მთავრობის მთავარი პრიორიტეტი სიღარიბის დაძლევაა (www.mof.ge), სოციალურ დახმარებებზე ქვეყნის ხარჯების უდიდესი წილი მოდის. ამაში შედის პენსიები და დახმარება ეკონომიკურად გაჭირვებული ოჯახებისთვის.


ამრიგად, როგორც ვხედავთ, საქართველოს მთავრობის პრიორიტეტი სოციალური დახმარებებია. ამავე დროს, თანამშრომლების კომპენსაციასა და საქონლისა და მომსახურების მოხმარებაზე საბიუჯეტო ხარჯების კიდევ ერთი მსხვილი წილი მოდის. აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში სოციალური დახმარებების მოცულობა იზრდება და ამავდროულად, საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაცია სამიზნე შინამეურნეობებისთვის დახმარების უფრო მეტად გაზრდას ქვეყანაში არსებული ინფლაციის მაღალი დონის გამო (www.imf.org).

2009 წლიდან ქვეყნის ვალეები მუდმივად იზრდება და 2011 წლის 1-ლ კვარტალში 7,625.7 მილიონ ლარს მიაღწია (2010 წლის შესაბამის კვარტალში ვალი 6,736.5 მილიონი ლარი იყო). ამ მთლიანი ვალის უდიდესი ნაწილი საგარეო ვალია – 5,800.6 მილიონი ლარი. როგორც ქვემოთ მოცემული გრაფიკიდან ჩანს (გრაფიკი 28), საგარეო ვალის ზრდის ტემპი შიდა ვალის ზრდის ტემპს აღემატება. ეკონომიკური დაღმასვლის გამო, საგადასახადო ბაზა შესუსტდა, ბიუჯეტში შემოსავლების სიჭარბე შემცირდა და სახელმწიფო სესხის საჭიროება გაიზარდა. სამთავრობო სესხი 130 მილიონი ლარით გაიზარდა გასულ წელთან შედარებით და 9,3 მილიარდ ლარს მიაღწია. აქედან, საგარეო ვალი 115 მილიონი ლარით გაიზარდა, ხოლო საშინაო ვალი 15 მილიონი ლარით. ამრიგად, მთლიანი ვალი მშპ-ის დაახლოებით 45%-ს შეადგენს (www.nbg.ge).

გრაფიკი 26
სახელმწიფო ბიუჯეტი (მილ.ლარი) (2009-2011)
www.geostat.ge



გრაფიკი 27
ხარჯების მიმართულებები (2009-2011)
www.geostat.ge




მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის საგარეო ვალს საგანგაშო ზღვრამდე ჯერ არ მიუღწევია, ქვეყანაში არსებული სხვა სტრუქტურული პრობლემების გამო, როგორებიცაა მოხმარების დომინირება და სუსტი საექსპორტო პოტენციალი, საქართველო შეიძლება იძულებული გახდეს, კრედიტი აიღოს ბევრად უფრო მკაცრი პირობებით, რაც ქვეყნის საგარეო ეკონომიკურ მდგომარეობას გააუარესებს.

7. მთავრობის საქმიანობა

მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში სიღარიბის დაძლევა საქართველოს მთავრობის პრიორიტეტად რჩება. ამის მიღწევა ეკონომიკის განვითარების გზაზე დაყენებით, უმუშევრობის შემცირებით, ინფრასტრუქტურის განვითარებით, მაღალი ხარისხის განათლების და ხელსაყრელი ბიზნეს გარემოს უზრუნველყოფით უნდა მოხდეს. ინვესტორების მოსაზიდად, მთავრობამ მაკროეკონომიკური სტაბილურობა უნდა უზრუნველყოს, საბიუჯეტო დეფიციტი შეამციროს და ინფლაცია მოთოკოს. საქართველოს მთავრობამ კონსტიტუციაში შესაბამისი ცვლილებები შეიტანა და თავისუფალ ეკონომიკურ პოლიტიკას ატარებს. ბიზნეს გარემოს გასაუმჯობესებლად, გამართვიდა საგადასახადო კანონმდებლობა, გაუმჯობესდა გადასახადების ადმინისტრირების ხარისხი. ამავე დროს, „თავისუფალი ვაჭრობის“ პოლიტიკამ უცხოური ვაჭრობის შემდგომი გაუმჯობესება უნდა მოიტანოს. პრიორიტეტი უცხოური დახმარების გონივრულად გამოყენება და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებისთვის გარემოს შექმნა ისეთი ინფრასტრუქტურის განვითარების მეშვეობით, როგორიცაა გზები და წყალმომარაგების სისტემები, სარკინიგზო პროექტები და ეგრეთ წოდებული „ღია ცის პოლიტიკა“ (www.mof.ge). ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის, ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენისა და ყარსი-ახალქალაქის სარკინიგზო ხაზის მშენებლობა იმ სტრატეგიის შემადგენელი ნაწილია, რომლითაც ევროპასა და აზიას შორის საქართველოს სტრატეგიული მდებარეობის კაპიტალიზაცია და ქვეყნის, როგორც გაზის, ნავთობისა და სხვა საქონლის სატრანზიტო დერეფნის მნიშვნელობის გაძლიერება მოხდება (www.cia.gov).

ბრაზიკი 28
ხარჯების მიმართულებები (2009-2011)
www.geostat.ge



7.1 ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა

ინფლაციური პროცესის მნიშვნელოვან ნაწილს კომერციული ბანკების მიერ გაცემული კრედიტების ზრდა წარმოადგენს. 2011 წლის პირველ კვარტალში, სესხები 91,8 მილიონი ლარით გაიზარდა და 6,428.9 მილიონი ლარი შეადგინა. ამ ფაქტის გამო, სებ-მა გაამკაცრა თავისი კონტროლი მონეტარულ პოლიტიკაზე და სავალდებულო რეზერვის ნორმა 15%-მდე გაზარდა მოზიდულ უცხოურ ვალუტაზე. ინფლაციის შემდგომი კონტროლის მიზნით, მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა საპროცენტო განაკვეთი 8%-მდე ანია (www.nbg.ge). ამ გზით, კომიტეტმა ფულადი მასის არაპირდაპირი შეზღუდვა სცადა. ვინაიდან ინფლაციას ეგზოგენური ფაქტორები იწვევს და არა მოთხოვნის მატება, მონეტარულ ინსტრუმენტებს მხოლოდ დროებითი ეფექტი ექნება. ამრიგად, საპროცენტო განაკვეთის ზრდა ხელმისაწვდომი ფულის კლებას იწვევს და შესაბამისად, მოთხოვნის შემცირებას, რაც, თავის მხრივ, ფასებს ამცირებს. თუმცა, ამ მეთოდმა შეიძლება უმუშევრობაც გამოიწვიოს. გარდა ამისა, ვალუტის გაცვლის კურსის კონტროლის რეჟიმი მონეტარული პოლიტიკის შესაძლებლობებს ზღუდავს.

ბიზნესის სტიმულირებისთვის, ხელისუფლებამ ფისკალური პოლიტიკა გამოიყენა რეცესიის დასაძლევად, ანუ, შეამცირა გადასახადები. ამ მეთოდს დასაქმების, პროდუქციის და მოთხოვნის დონეები უნდა გაეზარდა, მაგრამ 2008-2009 წლების ეკონომიკურმა კრიზისმა ამ პოლიტიკის შედეგები დააკნინა. არსებული 21 გადასახადიდან მხოლოდ 6 დარჩა. ამავე დროს, ყველა დარჩენილი გადასახადის განაკვეთი შემცირდა და 2013 წელს მათი შემდგომი შემცირებაა დაგეგმილი; ცვლილებები შეეხება საშემოსავლო და დივიდენდებისა და საპროცენტო შემოსავლის გადასახადებს. თუმცა, საშემოსავლო გადასახადის დაგეგმილი შემცირება გადავადდება საბიუჯეტო შემოსავლების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. საქართველოს მთავრობა გეგმავს გადასახადების შემდგომ შემცირებას მიკრო და მცირე ბიზნესებისთვის, მაგალითად, ასეთი ბიზნესების მოგების გადასახადისგან განთავისუფლებას. კორუფციის შემდგომი აღმოფხვრის მიზნით დაგეგმილია საგადასახადო ინსპექტორებზე აუდიტორთა საბჭოს ზედამხედველობის დაწესება. ამრიგად, მთავრობის ძალისხმევა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის, ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისკენ არის მიმართული. ბიზნესისთვის ხელსაყრელი ქვეყნის იმიჯის შესანარჩუნებლად, საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი „ფისკალური პასუხისმგებლობის შესახებ“, რომელიც განსაზღვრავს ფისკალური დეფიციტის და სახელმწიფო ვალის მკაცრ ლიმიტებს და შესაბამისად, საგადასახადო სისტემას უფრო პროგნოზირებადს ხდის (www.ebrd.com).

2011 წლის ივლისში, საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი კანონი ეკონომიკური თავისუფლების შესახებ, რომელიც ძალაში 2013 წლის 31 დეკემბრიდან შევა. ეს კანონი იმის მაჩვენებელია, რომ გლობალური ეკონომიკური კრიზისის დროს, საქართველოს მთავრობა ლიბერალური ეკონომიკის ერთგული რჩება. კანონის მთავარი პრინციპებია: მთავრობის ძალაუფლების შეზღუდვა, დაბალი საგადასახადო განაკვეთების შენარჩუნება და კონსერვატიული მაკრო-ეკონომიკური პოლიტიკა (www.mof.ge). ამ ახალი კანონის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპი არის ის, რომ ნებისმიერი ახალი გადასახის შემოღება მხოლოდ რეფერენდუმის გზით არის შესაძლებელი; გარდა ამისა, კონსოლიდირებული ბიუჯეტის ხარჯები არ უნდა აღემატებოდეს მშპ-ის 30%-ს, ანუ, აღმასრულებელი მთავრობა ხარჯებში შეიზღუდება. სხვა შეზღუდვები კონსოლიდირებული

საბიუჯეტო დეფიციტის მშპ-სთან კორელაციას (მაქსიმუმ 3%), და საჯარო ვალის მშპ-სთან კორელაციას (მაქსიმუმ 60%) ითვალისწინებს. მიჩნეულია, რომ ეს პარამეტრები ქვეყანას გრძელვადიან მაკროეკონომიკურ სტაბილურობას მოუტანს, ასევე, ქვეყნისადმი ინვესტორების ნდობას გაზრდის და, შესაბამისად, მეტ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს მოიზიდავს.

8. დასკვნები და რეკომენდაციები

როგორც ამ ანგარიშში ვნახეთ, საქართველო ცდილობს, შეამციროს უმუშევრობისა და ინფლაციის მაღალი დონეები, რომლებიც პროდუქციის შემცირებას და ეკონომიკური ზრდის ტემპის შენელებას იწვევს. საქართველოს მთავრობა ქვეყანაში მენარმეობის გასაძლიერებელ რეფორმებს ატარებს, რაც ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების ნაკლებობის გამო შესუსტდა. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის რეკომენდაციები ითვალისწინებს კონკრეტულ ნაბიჯებს, რომლის გადადგმაც საქართველოს მთავრობას ეკონომიკური ზრდის დაჩქარებისა და მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად შეუძლია.

ვინაიდან, კრიზისის შემდეგ, საქართველოს ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა კერძო ინვესტიციების მოზიდვაა, მთავრობამ აქცენტი იმ რეფორმებზე უნდა გააკეთოს, რომლებიც ადგილობრივი დანაზოგების ზრდას და ინვესტიციების მოზიდვას (როგორც, კერძო საპენსიო ფონდის შექმნა) შეუწყობს ხელს. სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს სოფლის მეურნეობას, ვინაიდან ეს დარგი წარმოადგენს დასაქმების და იმპორტის ჩანაცვლების მთავარ წყაროს. ჩვენი რეკომენდაცია იქნება, საირიგაციო და დრენაჟის სისტემების მონესრიგებით დაწყება. საფინანსო სექტორში საჭიროა შემდგომი რეფორმები, როგორც არის უმუშევრობისა და ინფლაციის დაძლევა, გრძელვადიანი სტაბილური ზრდის უზრუნველსაყოფად. მონეტარული პოლიტიკა ფოკუსირებული უნდა იყოს ინფლაციის შემცირებაზე და ადგილობრივი კაპიტალის ბაზრის გაღრმავებაზე, რაც, თავის მხრივ, ქვეყნის საბანკო სისტემაში დოლარიზაციის დონეს შეამცირებს. ფისკალური დეფიციტი კვლავ მაღალია, ხოლო სახელმწიფო ვალი სტაბილიზებას საჭიროებს. ამიტომ, მთავრობამ ფოკუსირება საიმედო ფისკალური პოლიტიკის გატარებაზე უნდა მოახდინოს, რათა ბაზრისადმი ნდობა აღდგეს.

გამოყენებული ლიტერატურა

Andersen, Robert and Tina Fetner 2008. "Economic Inequality and Intolerance: Attitudes toward Homosexuality in 35 Democracies," American Journal of Political Science, 52 (4):942-958.

Central Intelligence Agency. CIA world Factbook. Georgia. Retrieved from <https://www.cia.gov/library/publications/the-world-factbook/geos/gg.html> on 2011-07-20

European Bank for Reconstruction and Development. Transition Assessments –Georgia. Retrieved from <http://www.ebrd.com/downloads/research/transition/assessments/georgia.pdf> on 2011-07-20

European Bank for Reconstruction and Development. Regional Economic Prospects in EBRD Countries of Operations. Retrieved from: <http://www.ebrd.com/pages/research/economics/data/macro.shtml#tike> on 2011-07-25

International Monetary Fund. World Economic Outlook 2011. Retrieved from <http://www.imf.org/external/pubs/ft/weo/2011/01/pdf/text.pdf> on 2011-07-19

McDowell, M., Thom, R., Frank, R. & Bernanke, B. (2006). Principles of Economics. McGraw-Hill Education publications.

Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia. Weekly Economic Digest. Retrieved from <http://economy.ge/digest/pdf/?????????????????%20????%20%E2%80%9E????????%E2%80%9C> on 2011-07-21

Ministry of Finance of Georgia. Law on economic freedom _ Georgian government's new message to business and civil sectors. Retrieved from <http://www.mof.ge/en/News/3013> on 2011-07-22

Ministry of Finance of Georgia. Priorities of the Government of Georgia (2011-2014). Retrieved from <http://www.mof.ge/4161> on 2011-07-18

National Bank of Georgia. Inflation Outlook 1st quarter 2011. Retrieved from <http://nbg.ge/index.php?m=349> on 2011-07-20

National Bank of Georgia. Bulletin of Monetary and Banking sector Statistics. Retrieved from <http://nbg.ge/uploads/publications/bulletinstatistics/statbiul/bulletinjune2011geo.pdf> on 2011-08-16

National Investment Agency of Georgia. Free Industrial Zones. Retrieved from http://www.investinggeorgia.org/?101/free_industrial_zones/ on 2011-07-27

National Statistics Office of Georgia. GDP and other indicators of National Accounts. Retrieved from http://geostat.ge/index.php?action=page&p_id=116&lang=eng on 2011-07-20

National Statistics Office of Georgia. Price Indices. Retrieved from http://geostat.ge/index.php?action=page&p_id=125&lang=eng on 2011-07-20

National Statistics Office of Georgia. External Trade and FDI. Retrieved from http://geostat.ge/index.php?action=page&p_id=134&lang=eng on 2011-07-21

Putnam, Robert (2000). *Bowling Alone: The Collapse and Revival of American Community*. New York: Simon & Schuster.

Human Development Reports. Human Development Report 2010. *The Real Wealth of Nations: Pathways to Human Development*. Retrieved from <http://hdr.undp.org/en/reports/global/hdr2010/chapters/> on 2011-08-23

Wilkinson, Richard and Kate Pickett (2009). *The Spirit Level: Why More Equal Societies Almost Always Do Better*. Allen Lane.

World Bank. *Income Inequality*. Retrieved from http://www.worldbank.org/depweb/beyond/beyondco/beg_05.pdf on 2011-08-23



მარჯვანიშვილის ქუჩა 5, მეოთხე სართული, ოფისი 417. 01 02. თბილისი, საქართველო

ტელ/ფაქსი: 2 207 305

e-mail. info@eprc.ge

www.eprc.ge